

საქართველო

ISSN 0132-6015

საქართველოს
გეოგრაფიული

16 1985

მარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორთა ჯგუფმა შეიმუშავა ტექნიკური ან ტექნოლოგიური სიახლე, რომელიც პერსპექტივაში ნაწარმის სამომხმარებლო თვისებების პრინციპულ გაუმჯობესებას გვპირდება, დირექტორი კი მის დაწერვას აფერხებს.

გაზეთიდან



ნახ. ზ. აბაშიძის

დირექტორი: რამდენჯერ გაგაფრთხილე, ტექნიკურად გამძლე კარები შეაბით-მეთქი?! შენ ახლა მაგათ დააკავებ?!
 ნახ. ზ. აბაშიძის

კონიუგა



მყარად დგას ჩვენი პლანეტა
 პულტთან კოსმოსურ ორკესტრის,
 ერთია ახლა ორბიტა
 კოსმონავტის და პოეტის!
 არც თვალთ აკლია და არც ყურთ —
 წაღმა-უკუღმა ბრუნდება,
 ეს საუკუნეც, ბებერი,
 თანდათან გვიჭაბუკდება!
 რელსებზე (ინტენსიურზე!)
 შევსკუბდით! — ბედი გვქონია
 და ისევ გვაფესვიანებს
 გონიერების გენია!
 სიხალე მუდამ მუსტია,
 აღარ იკითხავთ, რა ძალია?!
 სად გაუტყუეთ, შეხედეთ,
 რა მთა-გორები დავძარიტ!
 იუმც საკარცულში დეღამზე,
 ვით ბრძენი მახეში, ისე ზის, —
 ძალიც ვიცით და შეწევნაც
 თერმობირთვული სინთეზის!
 თვალს კი არადა, ტელესკოპს
 ვეღარ მიაწვდენ, სად დაქრის!..
 პირწმინდად როგორ ჩამოთვლი,
 ტექნიკა ახლა რასაც ქმნის!..
 შეაზანზარა მსოფლიო
 აზრების რევოლუციამ!..
 რაკეტით ვსეტყვავთ სეტყვასაც
 (სროლა ბავშვებმაც იცინა!).
 მოსინჯა, მაჯა უპოვა,
 მგონი, სისხლს უსხამს ვენაში,
 იკადრა მეცნიერებამ —
 მობრძანდა წარმოებაში!
 მეტი სტიმული რომ იყოს
 (მეცნიერიც სომ კაცია?!),
 ე, მაშინ ნახეთ, რას მოგვცემს
 მაგათი ინტეგრაცია!
 ვარსკვლავს მრიცხველი დაფუდვით,
 მინდობილი ვართ სხვა ქარებს!
 შეუძლებელიც მოჰკითხეთ
 ახალ თაობის მანქანებს!
 ცოდნის ბუმი თუ ნაკადი
 დღეს ისერივად მოზღვავდა,
 არ ვიცით, რა დავაწესოთ
 საზომად, ნორმად, დოზადა!..
 წამია წამწამთ მსწრობელი —
 ზებგერითი და ზესწრაფი,
 ამიტომ, სწორედ ამიტომ
 სხვა სიმაღლებს ვესწრაფვით!
 მეტსაც მოგვთხოვენ! ნუ გვიკვირს!
 დრო აღარ დარჩა ზმორების! —
 მჭვრეტელად სომ არ ვიქცევით
 რობოტისეულ ბრძოლებს?!
 ამიტომ სიტყვა ხარისხმა
 უნდა აზიდოს სხვა ტვირთი! —
 მსოფლიო დახლზე — ბაზარზე —
 თავიც მოგვწონდეს ამითი!
 ანტიომ რეკენ ზარები:

მთვლემარეს — რეკონსტრუქცია!
 ყველას — თავისი ადგილი!
 ყველამ — თავისი ფუნქცია!
 უფრო ფხიანად, ფეხმარდად!
 უღარდებლობა ჭირია!
 კი არ ავბურდოთ, — სახსრები
 იქ იყოს, სადაც გვჭირია!
 შექმნა რა დავით, რა წვითა! —
 შემქმნელმა რატომ მინოს?
 ეფექტიანი პროექტი
 რატომღა დეფექტიანობს?
 ვალები კვლავ იზვიანებს!
 ვალები ჭიანჭურდებს!
 რის უკუგება?! უკან დგას
 (ზის!) ენის ქექვას უნდება!
 ეძებენ, ვერ უპოვიათ,
 ზოგან დაკარგეს მთლად გემი,
 სნაიპირივით ისვრიან,
 ვით უწინ, რეზერვს... რეზერვში!
 ეკონომია! ეფექტი —
 ხუთწლედმა გადმოგვილოცა,
 ჩვენ სახელმწიფო ჯიბეში
 ფათურის ნება ვინ მოგვცა?!
 ტლანქი, ქვემძიმე მანქანით


კონკურენტს როგორ უჭიდოს?!
 ვინ დაგვიხუჭა თვალები,
 ნაცვლად იმის, რომ გვეჭყიტოს?
 ზოგი ნამეტანს ჯიუტობას!
 ზოგიც, შესედავ, შორევი,
 არ აქვს და როგორ გარდაქმნას
 ფსიქიკა-ფსიქოლოგია?!
 საქმეს რომ მოსთხოვ, მაშინვე
 მოჰყვება ზღაპრებს, არაკებს!..
 რა ენაღვლება? — მის სელფასს
 მანეთსაც არგინ არ აკლებს!..
 ვეგემის შეცვლა და ფრიალი
 ზოგისთვის ისევ პობია!..
 უმეურნეო მექანიზმს
 უნილი თხილი სჯობია!..
 ..

გაბედუკანი გაგლიჯე
 (ნაღლად ჩანს, ვეღარ ეტევი!)
 მომავლისაკენ აბიჯებ
 გქსტრაექსპერიმენტებით
 გულგრილი ცოტა თუ რჩება,
 განა თუ ვინმეს შესტირე?!
 გამყოლიც გამოვიჩნდება,
 გამოვიჩნდება მეტტირე!

ნახ. მ. აბაშიძისა



უსიტყვოდ



ფელატონი

ალაზანში, ბრაკონიერების გაჩენამდე თურმე სხვადასხვა ჯიშის თევზები მრავლობდნენ.. მდინარის კალაპოტს ქვაფიჩხის სამაგრებსა და გაბიონებს უკეთებდნენ.. დღეს კი... ალაზანი შაქრინანის ხილის შემომბარანთან ყოველდღიურად აუართობს თავის კალაპოტს და ასე ნელ-ნელა მიაქვს საძოვრები, პირუტყვის დასასვენებელი ნაპირები.. ამბობენ, თვარამეტი წლის წინათ ალაზანი ძალიან ადიდებულა, შპარლის რაბიონის სოფელ შაქრინანის ყოფილი კოლმეურნეობის სუთი პექტარი მიწის სავარგულს დაჰპატრონებია და ის ადგილები, სადაც სიმინდის უხვი მოსავალი მოჰყავდათ, რიყედ ქცეულა.. მას შემდეგ დღემდე სულ შპარლის რაბიონის კუთვნილი 200 ჰექტარი მიწაა მდინარისაგან „დატატავული“!.. ამ გარემოებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ შაქრინანის ხიდთან პირუტყვის დასასვენებელი მოედნის ტერიტორიაზე გახსნილია ქვიშის ამოსაღები ორი კარიერი, საიდანაც სამშენებლო ორგანიზაციებისათვის იღებენ დიდი რაოდენობით ინერტულ მასალებს და საფრთხეს უქმნიან ხიდს. ქვიშის ინტენსიურად ამოღების შედეგად ირდევია ბუნებრივი წონასწორობა და ადიდებულ ალაზანს ადვილად მიაქვს სავარგული მიწის გარკვეული ნაწილი.. საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, დაისვას საკითხი ამ კარიერის არსებობა-არარსებობის შესახებ, ხოლო შემდგომ, მდინარეს ორივე მხარეს უნდა ჩაუტარდეს პიდროტექნიკური სამუშაოები.

რისკუზალიის ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თელავის ზონალურმა ინსპექციამ ამ სამი წლის წინათ საკითხი დააყენა საქართველოს სსრ სოფლისა და წყალთა მეურნეობების სამინისტროების წინაშე, რათა გადაშრეული ზომები მიეღოთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და თელავ-ნაფარეულის საავტომობილო გზის წალეკვის სალიკვიდაციოდ. გამოაგზავნეს კიდევ კომისია, რომელმაც მიზანშეწონილად სცნო ნაპირსამაგრების გაკეთება. ყვარლის რაიონის მეღიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს დავალა, ჩატარებინა დროებითი სამუშაოები. სამმართველოს მუშაკებმა მდინარის მარცხენა მხარეს ჩადეს ბეტონის კუბიკები, მაგრამ ვერც ამან დააოკა უხვი ნალექების შედეგად ადიდებული ალაზანი. დღეს მხოლოდ არქეოლოგები თუ შეძლებენ აღმოაჩინონ, სად იყო ჩადებული ეს კუბიკები!..



უახლოეს დროში თუ არაფერი გაკეთდა ნაპირების კაპიტალურად გამაგრებისათვის, ხიდი დარჩება თელაველების მხარეს, ხოლო მდინარის კალაპოტი გადაინაცვლებს ყვარლელებისკენ. დადგენენ მერე თელაველები და ყვარლელები და უმდერონ ერთმანეთს — „გამოღმით ჩვენ ვართ, გაღმით — თქვენ, შუა ჩაბვიდის მდინარე“ — თუ ალაზანი კი კვლავ წალეკავს ნაპირებს!..


ჯანსუღ გიორგალაშვილი,

„ნიანგის“ შტატგარეშე კორესპონდენტი თელავის ზონაში.



ვისვრით სასმისებს, სმა გრძელდება სამი სეანსი, ჯამს ვურტყამთ ჯამებს, ჭიქას — ჭიქებს, ვართ ერთ გნიასში!.. დავლიე ბევრი!.. ნაღდად ვიცი, სახლში და ვწევი და ვწევი და ვწევი მილიციაში!..

ჯემალ კვერცხილაძე



ნ. ჯ. ლომაშვილი

ჩვენი ლირექტორი კაჟივით კი არის, მაგრამ, მგონი, სკლეროზი შეუპარა!.. მაშინ დავლუბულვარ და ემ არის, რაც მე მაგისთვის პატივი მიცია!..

იქვე სხვით ნაშთარეობი

წინათქმა

სხვით ვტირით, ცრემლად
ვეღვრებით,
ვინც მოკვდა, სული დალია!..
ცოცხალი ლოთი ვტიროთ,
ის უფრო სატირალია!
ლოთი თავს იკლავს,
სხვებსაც კლავს,
სინდისი ლაფით შესვია!..
ცოცხალი ლოთი ვტიროთ,
ვიგლოვოთ, როგორც წესია!

და სიყვარულისგან მთლად გამცალე!
ჩემს თავს აღარ ვეძებ, პირმშოს
ვდარდობ,
მასაც გამიფუჭებ, ხარ ისეთი!
ერთი ბიჭუნა მყავს, ერთადერთი,
ლოთთან რად მინდოდა ან ის ერთი?!
ბევრად მირჩვენია, ქვრივი მერქვას
და ცივ სამარეში დაგიგულო!
თუმცა ისე ვატყობ: უმალ წავალ!..
გული აღარ შემრჩა!..
ვაი, გულო!..

მოლის ნატირალი ლოთ შეპარვა

ჰოი, რა იმედით შეგიყვარე,
ბატკანი მეგონე აბრამისა!
მაშინაც ყლაპავდი ბახუსს თურმე,
მაშვალმა სიმართლე არ მაღირსა!
ჩემი ცოდვით სავსემ მომატყუა,
შენს ხელში ჩამაგდო სატანჯველად!..
რამდენჯერ შემპირდი, — არ
დავლევო!
შენი არაფერი აღარ მჯერა!
ორჯერ თეთრ ცხელგებს გადაურჩი,
ქალი გამათეთრე შენი ცოდვით!..
დედა საფლავს ჩადე ნადრევად
და არც მამაშენი შეიცოდე!..
ჭიჭა არაყისთვის სულს გაყიდი,
ერთ გათრიაქებას მანაცვალე!
ამაცალე ბეჭედი ნიშნობისა

ღის ნატირალი აბოროტირითა ქაზაზ


შენზე ფიქრმა მომკლა, გამათავა!..
შენზე დარდები მაქვს გულში
ნაღმად!..
ღვინით იჭყიპები,
არაყს ყლაპავ,
„ვიგულს“ დააქროლებ აღმა-დაღმა!
სიკვდილს ბევრჯერ ახლოს ჩაუარე,
სიფათი დაგვატენე შიშის ზარად!..
ინსპექტორებს „სუფთად“ დაუძვერი,

ნატირალი არაა...
მოკვდა...
გონივრული...

ვაი, ხალხს შესამავდი!..
შხამს ვაჭრობდი!..
შხამი გადმოგქონდა,
გადაგქონდა!..
ბევრი ფული გქონდა,
გქონდა ოქროც,
ვაგლას, ნამუსი არა გქონდა!
ბევრჯერ სპირტი წყალში გააზავე,
კაცს შხამით გონებას უბნელებდი!
უდროოდ საიქიოს გააგზავნე
ჩემი უბნელები,
შენი უბნელები!..
ყველგან დადიოდი ცოდვის
ტვირთით,



საწამლავს უხვად არიგებდი!..
ლენცოფით მოზარდსაც აბრიყვებდი
და მერე მის ბედს არ იგებდი!
ხან თვით ამზადებდი „ჭკუის მახეს“,
თავს დასტრიალებდი
არაყსანდელს!
გვეშველა! — ერთად მოგეკითხა,
რაც ბრიყვთა ცოდვა კისრად გადევს!
შხამის ვაჭრობაზე დაგიჭირეს
და ხალხს მოგაშორეს, გესლით
ხავსე!
თანამოაზრენი თუ სადმე გყავს,
მათაც, მათაც მალე ელით ასე!



კვლავ საჭეს უზინარ ლოთბაზარა!
თავს ვეღარ დაიძვრენ, ძმაო, ვერა,
ღვინოს თუ კვლავ დალევ, აიშლები!
მჯერა, ჩამოგსვამენ მანქანიდან,
„რადაც მანქანები“ არ გიშველის!



მაიმუნების გალიის ახლოს
მანჭვით და გრუნით შეჩერდა მთვრალი,
ხეს მოეხვია და წინაპართა
ბუნდით ოჯახს დაასო თვალი!..

მაიმუნები აფორიაქდნენ,
გაშმაგებული დედა შვილს წვდება,
ინუტებს გულში და შიშით ფიქრობს:
ნუთუ, ჩვენს მოდგომას ეს ელოდება?!"

გიგლა ბახტაძე

ნახ. ზ. შორაჩიძისა



ახლა უნდა ჩვენგან შველა

მე მყავს ერთი მეგობარი,
არ მსურს გითხრათ გვარ-სახელი,
რადგან იმის საქციელი
სულ არ არის გასამხელი!

რომ ვიხსენებ მის ბავშვობას,
ჯავრით ლამის გულზე ვსკდები! —
რად ირგუნა მუცლისათვის
კაცმა ასე მწარე ბედი?!

მასსოვს ბიჭი შავგვრემანი,
გონიერი, ღონიერი!..
სულ მეგონა: მალე მისით
იამაყებს ჩვენი ერი!

მაგრამ, ვაი, სულმდაბლობავ,
საკუთარი თავის მტრობავ,
უგნურობავ, უვიცობავ,
უზომობავ, ღორმუცლობავ!..

მიეძალა ღვინოს, არაყს,
თავის თავის გახდა მტერი!
დღეს ცოტა სვა, ხვალ კი — მეტი
და დარია სენმა ხელი!..

ახლა უკვე ლოთი არის
და დასცინის იმას ყველა!
მას დაცინვა რას მოუტანს?! —
ახლა უნდა ჩვენგან შველა!

ჯვარსმული

— აბა, ქალო, შენებურად დატრიადლი, სტუმ-
რები გვეყოლება ამ საღამოს!
— მომკლა ყოველდღე წვეულებების
ბამ! ერთი დღე მაინც დამასვენე, ვეღარ ავუ-
დივარ ჭურჭლის რეცხვასა და სახლის ლაგებას!
— რავა, შე ქალო, გუშინდელი ბანკეტის
ბრწყინვალედ დამთავრებას აღნიშვნა არ უნდა!

— კიდევ მთვრალი მოხვედი, შე უსინდისო?!
ეს არის, აღარ დავლევო?!
— რა მოგივიდა, შე ქალო?! ლოთობისა და
ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ მეგრძოლი კომი-
სიის თავმჯდომარედ ამირჩიეს და არ უნდა
დამესველებინა?!

ნუგზარ ბარდაველიძე

ლექსიკონი

ლოთობა — „სულიერი ამაღლების“ სურ-
ვილი, რაც გონებრივი, ქონებრივი და სამსა-
ხურებრივი დაქვეითების მიზეზი ხდება.

ღრმობა — სადაც ჭერ ღვინოსა და ხორაგს
აცხრებიან, მერე — ერთმანეთს.

ალკოჰოლიზმი — რაც ალკოჰოლიკს თვით-
კმაყოფილებას ანიჭებს, მაგრამ, ამავე დროს,
გულის, ფულის და ჭაერის უკმარისობასაც
უფითარებს.

გამოსასხიზღებელი — სადაც ზოგი გონ-
ზე მოხყავთ, ზოგი — ჭკუაზე.

ღვინო — კეთილშობილი სითხე. უზომოდ
მსმელს კეთილშობილებას უკარგავს.

ალკოჰოლი — დროის, დარდის, სიფხიზ-
ლისა და თავის მოკვლის საშუალება.

მთვრალი — ვინც ყველას ყურადღებას იქ-
ცევს და არავის ყურადღების ღირსად არ თვლის.

რეპორანი — ადგილი, სადაც შესვენების
შემდეგ მხიარული ფორმით გრძელდება სამუ-
შაო დღე.

მკვლარი საბათი — სამუშაო დღის მეორე
ნახევარი ზოგ დაწესებულებაში.

ქივიზი — სამუშაო დღის გაყვანის ჩქაროს-
ნული მეთოდი.

თამაზა — მომხსენებელი, რომელსაც იმ-
დენი თანამომხსენებელი ჰყავს, რამდენიც მსმე-
ნელი.

სუფრა — ამა თუ იმ ორგანიზაციაში მომუ-
შავეთა ვინაობის, ურთიერთობისა და რაოდე-
ნობის განსაზღვრის ობტიმალური საშუალება.

ალგანორ თამაძე

მკვლევარების დასაცავი



დაილოცოს მეტროს მომგონი, მისი მშენებელი და უველა ის, ვინც ღღენი-დაგ ხალხს ემსახურება, საკმაოდ კარგადაც, — აქა-იქ მერხები რომ არ აკლდეს ზოგიერთ სადგურს მგზავრთა დასასვენებლად მატარებლის მოლოდინში სამწუხაროდ, ზოგჯერ თვალშისაცემი უსუფთაობაცაა, მაგრამ იმ კარგ ადამიანებს რას ვერჩით, როცა ამაში ჩვენ, მგზავრები ვართ დამნაშავენი? მოვისვრით კანფეტის ქაღალდს (ნაყინის შეტანა აკრძალეს ბოლო დროს, თორემ არც იმის ქაღალდისა თუ ესკიმოს ღერის გადაგდებას ერიდებოდა ბევრი), ან ნამცხვრის ნარჩენს, ავტობუს-ტროლეიბუსიდან გამოყოფილ ბილეთს. რატომ? რა უფლებით? ჩვენს ბინებში ამას ხომ არ ვიწამთ? ჰოდა, ის მეტროს ვაგონიცა და სადგურიც ჩვენია, ხალხო! ვანა ამას მტკიცება უნდა?

ათასი მიმსვლელ-მომსვლელია ქალაქში, უცხო და შინაური, ჩამოსული სხვადასხვა ქვეყნიდან, რესპუბლიკიდან, რაიონიდან, სოფლიდან, — რას იფიქრებენ? ღმერთმანი, კარგს არაფერს პლაკატებით კი გვაქვს



ფელეტონი

აქრელებული ქუჩა თუ მოედანი — გადავაცქიოთ თბილისი სანიმუშო ქალაქადო და ესაა ჩვენი პასუხი, დამლაგებლის მიერ გაწმენდილს, დახვეტილს და გაკრიალებულს ასე უდიერად რომ ვექცევით? მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ მეტროს! — დიას, ღღეს მეტროს გარეშე ვეღარ წარმოგვიდგენია ჩვენი თბილისი, ახალი სადგურების მწყობრში ჩადგომასაც ველით და, სიცაა, ამ წუთისაც ველირსებით! ჰო, კარგია მეტრო, იაფი და სწრაფი. ჩაქლები ხუთ კაპიკად ლამაზ მატარებელში

ნახ. დ. ზარაფიშვილისა



დროისმზამელი

და მთელ ქალაქს შემოივლი, როგორც იტყვიან, თვალის დახამხამებაში უველა უბანში შეხვალ, დაათვალიერებ საქმე თუ გაქვს, იმასაც მალე მოაგვარებ, დროს დაზოგავ, სხვა რამესაც მოახმარ!

მაგრამ ახლა ისიც უნდა ვთქვათ: დასანანია, იმ დალოცვილმა დამპროექტებლებმა ეგრე მოწრუბული და პატარა დარბაზები რომ გააკეთეს!..

ქალაქი ღლითი ღღე იზრდებაო, სულ ამაზეა ლაპარაკი.

ჰო, ბატონო, იზრდება! აბა, როგორ? მაგრამ ვანა მარტო სიგრძითა და სიგანით? მოსახლეობის სიმრავლითაც! დიას!

ვაგა სულ რამდენიმე წელი და, აგერ თქვენ და აგერ მე, ნახავთ, მარჯანიშვილისა და ვაგზლის სადგურებზე, როგორც იტყვიან, თავი კულს ვერ მოიქნევს!..

ვაგზლის სადგურის ხსენებისას ვერც იმაზე დავხუბავ თვალს, რომ მოპირკეთების სილაშჩითაც ვერა ბრწყინავს ეს სადგური! ხალხო, ქვეყანას ჩვენი მარმარილოთი წამარაგებთ და ჩვენთვის რატომ დავგვენანა, საბაზანას ფილებით რომ ავვიტრელებია კედელი? არადა, თბილისის მეტროს ავკარგი ამ სადგურიდან იწყება დიას!

მაგრამ ეს სადგური კიდევ ოქროა. აკაკი წერეთლის სახელობის სადგურთან გადასარევი ამბავია: იმ დალოცვილმა დამპროექტებელმა სკოლაში მაინც არ ისწავლა ჩვენი სათაყვანებელი პოეტის სტრიქონები? — ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩამო საფრთხლო მხარეო!..

თუ ფერებში ვერ გაერკვა და ფირუზი და ზურმუხტი შავფრად მოეჩვენა? თანაც არ იძუნა — მთლად ჭერამდე ჩაამუქა კედლები შავი მარმარილოთი სანათურებიც რომ უცნაურად შეუხამეს შავ კედლებს. რომლებიც ისე უღიმღამოდ ბუთბუთებენ და ისე იქაურობა ჩამუქებულ-ჩაბნელებული, გული ჩაგიძიმდება! გაღმოსვალ ვაგონიდან და გარბიხარ, ჩქარობ იქიდან გაქცევას!

აქაოდა, მიწისქვეშეთიო! მაგრამ ეგრე არ არის საქმე, არა!

სწორედ მეტროში, მიწისქვეშეთის სახალღეებში უფრო სჭირდება ადამიანს სინათლე, სილაშაე, სილაშათე და, თუ გნებავთ, ქართული ხუროთმოძღვრების გემოვნების ხილვა! იქნებ ესაა სწორედ მიმზიდველი მაგნიტი მეტროსი და ამის უგულბებელყოფა დაუშვებელია!

ნათქვამია, შეცდომის დაშვება გაცილებით ადვილია, ვიდრე მისი გამოსწორებაო, და მაინც, თბილისელები, მთლად საქართველო, ველით აკაკის სახელობის სადგურის გაპეწინებას!

ეს პატავი დაიმსახურა ჩვენმა დიდმა წინაპრმა, სილაშაისა და სიყვარულის მომღერალმა!

ნანა კანდელაკი



საქრებულო

ფელეტონი

ეს იყო ნამდვილი სასწაული: რამდენიმე კაცმა ერთი და იგივე სიზმარი ნახა!..

ღიამ, ერთი და იგივე: სახლების მთელი კომპლექსი, ქალაქ სოხუმი, არაშენის ქუჩა და სოფელ გუმისტაში რომ შენდება, თავდაყირა იდგას!.. შედარებით პატარა, 54-ბინიანი სახლები თითქოსდა დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდა, მაგრამ 108-ბინიანი სახლი შემაზარაზენი სანახაი იყო უჭირდა ამ უზარმაზარ შენობას წონასწორობის შენარჩუნება და ზღვის მიმოქცევის რიტმს აყოლილი, თავზარდამცემად ირწუნდა!.. ჭრილებდნენ არსებული სტანდარტის დარღვევით ჩამოსხმული პანელები, რომლებიც ერთმანეთთან უსერიოდ დაეკავშირებინათ, რადგან დარღვეული იყო საპროექტო ზომების. ადგილზე ვერ მაგრდებოდნენ სავენტილაციო ბლოკები, რადგან აკლდათ პროექტით გათვალისწინებული ჩასატანებელი დეტალები. ზოგი დეტალი, ქარხნის ტექნიკური განყოფილების მუშაკებს რომ დაეწუხებინათ, მაგრამ რატომღაც მაინც მოხვედრილიყო სამშენებლო მოედანზე, მრავლისმეტყველად დუმდა!

— ეს რა გიქნიათ, თქვე ასეთებო და ისეთებო?! — ბირიდან ცეცხლს აფრქვევდა ტრისტ „აფხაზგზინის“ სოხუმის სახლსაშენებელი კო-



მპინატის უფროსის მოადგილე მ. ნიშნაძე, — სახლებს ასე ვინ აშენებს?!

— ხმა ჩაიწყვიტეთ! — თავიანთ აღმთხოვებას არ მალავდნენ ამავამ კომპინატის პირველი და მეორე საშენებლო-სამონტაჟო სამმართველოების უფროსები გ. ჩიმი-

ნავა და ნ. გოგუა, — ხად არის სამართალი, თორემ ამ უსტანდარტო და უხარისხო დეტალების გამოშვებისათვის ცხრაფენა ტყავი უნდა გაძიროთ კაცმა!

— უხარისხო და უსტანდარტო დეტალები, ჰა?! — თავისას არ იშლიდა მ. ნიშნაძე, — ის რითღა ავხსნათ, რომ პროექტით გათვალისწინებულ არც ერთ სამუშაოს ხეირიანად არ ასრულებთ! თქვენი შესრულებული რკინა-ბეტონის სამუშაოებიც წუნდებულა!.. იმაზე რას იტყვით, სამანქანო განყოფილებას, ოთხი ფენა რუბროიდის ნაცვლად, ერთი ფენა რომ გადააფარეთ და, საერთოდ, თქვენს მიერ შეუსრულებელ სამუშაოთა თანხამ 18,7 ათასი მანეთი რომ შეადგინა?!. იცით თუ არა, რომ...

ბევრი, ბევრი მწარე სიტყვა აკლრეს ერთმანეთს წლების განმავლობაში ერთად მომუშავეებმა, რომლებიც ერთ უწყებას ეკუთვნიან და, როგორც იტყვიან, ერთ უღელს ეწევიან.

მაგრამ ეს სიზმარში ხდებოდა. სინამდვილეში კი...

სინამდვილეში შეხმატკბილებულად მუშაობდნენ—სოხუმის სახლსაშენებელი კომპინატის მუშაკები უშვებდნენ უხარისხო, უსტანდარტო დეტალებს, ხოლო ამავამ კომპინატის საშენებლო-სამონტაჟო სამმართველოთა ხელმძღვანელები უშუაგონოდ იღებდნენ მათ და უნდებოდნენ და უნდებოდა უხარისხო და უკონდიციონ ნაგებობანი: 108-ბინიანი არაშენის ქუჩაზე (სამუშაოთა მფარველი ნ. ცუცუშაბია) და მრავალი სხვა. უხარისხოდ აშენებული სახლების ნაწილი ჯერ კიდევ

1984 წელს გადაეცა საშენებლო ტაციონდ.

სტანდარტების დარღვევითა და უხარისხო მშენებლობის წარმოებისათვის გათვალისწინებული ტრისტ „აფხაზგზინის“ პირველი და მეორე საშენებლო სამმართველოებაც (უფროსები გ. შარია და მ. ვარდანია). ისინი ქალაქ სოხუმი, კარუნიის ქუჩაზე და სოფელ გუმისტაში სახლებს აშენებენ საშენებლო-სამონტაჟო და საშენებლო სამუშაოთა ტექნოლოგიის შეუწყნარებელი დარღვევით!

... წუნისმკეთებლები ძალიან შეაძრწუნა იმ უცნაურმა სიზმარმა! ავის მოლოდინში ისე გაინაბნენ, როგორც ბუჩქს ამოფარებული სირაქლემა გაინაბება ხოლმე უღაბნოში!

მაგრამ, მოგეხსენებათ, განწირულ სირაქლემას ბუჩქი ვერაფერს შეეღლის, — ჩვენი ვაი-მშენებლებიც იხმეს, სადაც ჯერ არს, და ყველას დამსახურებისამებრ მიუზღეს!

დასჯილთა სამწუხაროდ, ზოგი მათგანი ვეღარ იმუშავებს თავის კველ ადგილზე, მაგრამ ისინი.



ვინც არ მოუხსნიათ და მხოლოდ „ყურის აწევა“ აკმარეს, ალბათ, შეეცდებიან, ისე იმუშაონ, რომ მსგავსი თავზარდამცემი სიზმრები აღარ ნახონ!

ნოდარ ხუნდაძე,

„ნიანგის“ შტატგარეშე კორესპონდენტი აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში.

ილუსტრაციები მ. პაპუიძის

ლოთის სამყარო

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



ზესტაფონო, ზესტაფონო, გმორდები,
შორს მივდივარ, ნულარ დამელოდები!
რაღად მინდა შენი ბუტერბროდები?! —
შორს მივდივარ, შორს მივდივარ, გმორდები!

ღვინოს დავლევ, არაყს არ გავიკარებ!
ღვინო რაა? ცოტას წამიჯიკავენს!
რაღას მიზამს ღვინო ათი ჭიქა მე?
სადაც დავლევ, წამოვწვები იქავე!

მისამღარი:

ღვინოს დავლევ წყალწყალას,
შენ გაკოცებ, სხვას არა!..

ათ ჭიქაში სამი — სუფთა წყალია,
სამი — მთხლეა, სამი ჭიქა — ძმარია,
ერთი — ღვინო ჩვენიან გაუმწყრალია,
ზესტაფონო, შენთვის აღარ მცალია!

ეგ მტევანი თითქოს ძროხის ცურია,
წყალში ღვინო ნეტა ვინ აურიან?!
ძველისძველი ღვინის გემო მწყურია,
პაპაჩემს რომ ქვევრში ჩაუწურია!

მისამღარი:

დაუკარით ძველებური,
ბიჭები ვართ ჩვენებური!

ზესტაფონო, შორს მივდივართ ლოთები!
გენაცვალე!.. ნულარ დავგელოდები!..
სულ ერთია, ჩვენ არ გამოვსწორდებით,
დაგვაყარეთ გულზე ქვა და ლოდები!

ვაი, რა დროს დავგიღამდა ალალ ხალხს?!
ნეტა ღვინო გადაიქცეს არაყად!
რა ჭკუა აქვს, კაცი ხარ თუ არა ხარ,
თუ არაყი არ გავაცლის არაქათს?!
მისამღარი:

ქინძირ-ქუნძირ-ქინძარა,
გინდ ვყოფილვართ, გინდ — არა!

არაყს — არა, ღვინოს დავლევ ჯამითა,
ძმობიჭებში პირველი ვარ ჭამითაც,
სხვის პურ-მარილს რაღაც სულ სხვა გემო აქვს,
მუქთი კუბო პირდაპირ საჩემოა!

სპირტს (გივი ვარ?) როგორ მივეტანები,
კბილებს თუ არ გამიხსნიან დანებით!
ცოტალა ქვეყნად ჩემისთანები?! —
ყველას ვკოცნი, ყველას ვეთაყვანები!

მისამღარი:

ლოთებო. ავაი ჩვენა
ჭირად გვაქნა შეება-ლხენა!

უკვანი ბართია

— ბავშვობის მეგობარია?
— არც კი ვიცნობ! აგერ უკვე ერთი საათია ვიღაცამ
მომაბარა!




„ვაშაკასი“

იუმორისა

— ღვინახევი, რა ქნა კირილემ?! ვინ იფიქრებდა, ჭო, ვინ, რომ მაგის-
თანა ვაშაკაცი დადგებოდა?! შენ იფიქრებდი?! არც მე! არა, ძმავ, არა,
ქალაქი დიდი რამეა!.. ბევრს გასწავლის! ათას ჭიტინაში გაგატარებს,
თვარა ჩვენი კირილე სოფელში ერთი საწყალი, ბლავი და ბოლოყრო
ბაღანა იყო, უფენო, სეფილი. თავში რომ ჩაგერტყა, სიტყვას არ შე-
მოგობრუნებდა. ახლა ვუყურებდი და თვალებს არ ვუჭერიდი, ჭო, სა-კუ-
თარ თვალებს! აგი რ კირილე-თქვა? — ვეკითხებოდი თავს. ჰო, ჰო, ჰოოო,
რას ურტყამდა და ურტყამდა?! მიხიო ხელათ წააქცია. ღრანჭი მოქცეოდა
საწყალს, თვალები მობრუცვოდა და ცხვირ-პირიდან ძმარს აქცევდა. მა-
მუკას, ჰი-ჰი-ჰი, რა უქნა მაინც! მაგანაც უნდა თქვას აწი, მეც კაცი ვარო?
ხეებს ებლაუჭებოდა ჩიჩვირგადმობრუნებულის!.. ფეხები მატყლით გატე-
ნილი წინდებივით ეჩლიჩებოდა ჰუ-ჰუ! ლეოს არ იტყვი? რომ გეკითხა,
მაგისთანა მაგარი, ქვაკილია კაცი არავინ იყო ამ ღუნიაზე, მარაა — ე!
ხომ მოვიდა? მოვიდაა! ლეოს იმდენი ჭკვა მაინც ეყო, გასხრეილიყო
იქედან!.. სხვებმაც შეხედეს, ლეოი მირბისო და, ვინ ვის გაასწრებდა?!
ჰი-ჰი-ჰიიი, რაფერ მირბოდნენ, ჭო, რაფერ მირბოდნენ?!

კირილემ კი, ვითომც აქ აფერიო, ბოლო ყანწივ გამოწრუბა, უკანას-
კნელი წვეთი ხელისგულზე დაიწრია, — „ოჰ, ერთი ამის სმით გამა-
დლო!“ — ამოიგუნა და ენით ალოკა, მერე მანქანაში ჩაჯდა და ჰეიი!..
გაფიფინდა!

— აბა, აბა, ვაშაკაცი ვარო, მაგან უნდა თქვას, მაგან!..



ვახტანგ ახვლედიანი
(ქ. ბათუმი)



სად გაქრა სკამები?

კულტურისა და დასვენების პარკში, ბაღში, სეივანში, სკვერში ადამიანები იმიტომ შედიან, რომ დაისვენონ, იმასლათონ, იოცნებონ!.. დასვენებისთვის კი აუცილებელია სკამზე ჩამოჯდეთ, საზურგეს მიეყრდნო და ინებებოთ!..

თბილისის ვერც ერთ ბაღსა და სკვერში ვერ ნახავთ სკამს საზურგის გარეშე! მართო ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მარშალ გელოვანის ძეგლთან ახლოს გაშენებულ სკვერში იდგა პრიმიტიული, უსაზურგე სკამები და შეცვალეს

— დადგეს ჩვეულებრივი, ბალის გრძელი სკამები თავიანთი მისაყრდნობითურთ. მაგრამ როგორც კი იმავე უბანში გაისხნა ახალი სკვერი, ეს სკამები აიღეს და დადგეს ისევ პრიმიტიული, რომლებზედაც მიყრდნობა შეუძლებელია! საინტერესოა, რატომ დააპროექტეს აქ ასეთი სკამები? ანდა, რა დანიშნულება აქვთ მათ?!

იქნებ ამ კითხვაზე ორჯონიკიძის რაიონმასკოშმა და რაიონის გამწვანების ხელმძღვანელებმა გვიპასუხონ?

მეზობლო კარისაო!

მეზობლო კარისაო,
იყავ მზისა დარისაო,
მთქმელი კარგი ამბისაო,
არა — მქნელი ავისაო,
არა — შური თვალისაო,
არა — ძალისძალითაო,
არა — ყბითა ძაღლისაო,
არა — მცდარი აზრითაო,
არა — ზარით ზარისაო,
არა — კბლით მგელისაო,
არა — გელთი გველისაო,
არა — შხამით ენისაო,
არა — შავი პირითაო,
არა — საქმით ფლიდითაო!..

მეზობლო კარისაო,
მთხოვნელი ვარ ამბისაო!

თინათინ ხმალიაძე

გუკამივილი მსახურად

ერთმა აბანოს იბანა შამპუნითა და ნურითა,
მეორე თევზით გამოძღა ზურგიელ-
გელაქნურითა,
მესამე გამოიბრუა ღვინითა ატენურითა,
მაგრამ იქავე გათოკეს საბლითა მაშანურითა.

პ. ცინცხალი



ნახ. ჯ. ლოლუხასი

— ძეგლთა დაცვიდან ხართ?
— არა, ჩვენი სოფლის ჭიშკარს ვდარაჯობთ, ახალგაზრდები ქალაქში რომ არ გაგვექცენენ!



საბჭოთა
კავშირის

საბჭოთა და იუგოსლავიის
ქართული „ნიანგი“ № 16
(1627) აგვისტო, გამოდის
1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლჭავაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ჭაბუა ამირეჯიბი, ნოზარი
ბარათაია, ზორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-
მალ ლოლუა, ნოდარ მაღა-
ზონია (მხატვარ-რედაქტო-
რი), ალექსანდრე სამსონია,
ბეჟან სიხარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წივწივაძე, ნაფი ჭუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი


გადაცა ისაწყობად 19. 07.
85 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდოდ 2. 09. 85 წ. ქა-
ლალის ზომა 60X90/4
ფონიური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, საარტიცხოვ-საგა-
მომცემლო თაბახი 1,9, სა-
ქარველოს კვ ცვ-ის გა-
მომცემლობა, ლენინის, 14.
შეკვეთა № 1587 უფ 05585
ტირაჟი 143300 ქურნალი
გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 280008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგებების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაეების — 99-02-38,
მდივან — მემანქანის —
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке) Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Изда-
тельство ЦК КП Грузии,
типография издательства
ЦК КП Грузии, Тбили-
си, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი.
ინდექსი 76137



85-582

ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პა-
ლატამ რეიგანს უფლება მიანიჭა, კონგრესის
დაუკითხავად ნიკარაგუაში გაგზავნოს ჯარები.
ეს გარემოება გზას უხსნის ამერიკის იმპერია-
ლიზმის ფართომასშტაბურ ავანტიურას ცენტ-
რალურ ამერიკაში.

